2000 წლის ოლიმპიური თამაშები ჩატარდება სიდნეიში—ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მონტე-კარლოში სოკის 101-ე სესიამ

ლელო

25-28 სექტემბერი, 1993 წ.
№ 70 (10 858) ფასი 100 კუპონი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხუან ანტონიო სამარანჩი კვლავ სოკის პრეზიდენტია

ვნებათაღელვა, რომელიც მუდამ სდევს ოლიმპიური თამაშების ყოველი ახალი მასპინძლის შერჩევას, ხუან-ანტონიო სამარანჩის სოკის სათავეში მოსვლის შემდეგ, რაც დრო გადის, უფრო და უფრო დრამატული ხდება, აჟიოტაჟზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

სამარანჩმა ახალ ეპოქას დაუდო სათავე ოლიმპიურ მოძრაობაში. ამ ჩია მოხუცმა დიპლომატისა და ბიზნესმენის მთელი ხელოვნება გამოიყენა, რათა მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ დაენგრია თითქმის საუკუნოვანი სტერეოტიპები, გაუგონარი სითამამით მისცა გასაქანი პროფესიონალიზმსა და ბიზნესს სპორტში. ასევე მეთოდურად და ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოიტოვა ყველა მეტოქე, რომლებიც აგერ უკვე 14 წელიწადია მას სოკის პრეზიდენტის სავარძელს ეცილებიან. სამარანჩმა მონტე-კარლოში გამართულ სოკის სესიაზე ამჯერად უკვე ზედიზედ მესამედ მოიგო საპრეზიდენტო პაექრობა და მოიგო ბრწყინვალედ.

თუ ვინ უმასპინძლებდა ოლიმპიურ თამაშებს 2000 წელს, ეს საკითხიც მონტე-კარლოში გადაწყდა. თვით სამარანჩმა კვლავ დიპლომატიური ხერხი იხმარა და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო, ამით მან სათავეშივე მოუსპო ეჭვების საბაბი არაკეთილმოსურნეებს, არადა, რა ხანია, სოკს და მის ხელმძღვანელობას ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის შერჩევისას ფარული გარიგებები ბრალდება.

მაშ, ასე: პეკინი, სიდნეი, ბერლინი, მანჩესტერი თუ სტამბოლი?


ხუან ანტონიო სამარანჩი

SYDNEY 2000

ფარული კენჭისყრით გაირკვა, რომ არჩევანი სიდნეიზე შეჩერდა. სიდნეი 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად გამოცხადდა. სხვათა შორის, ეს მოსალოდნელი იყო, მოსალოდნელი იყო პეკინის გამარჯვებაც. წარმატების შემთხვევაში ჩინეთში პირველად შეაბიჯებდა ოლიმპიური თამაშები. აი, ავსტრალია კი უკვე მეორედ მასპინძლობს თამაშებს. პირველი იყო მელბურნი, 1956 წელი.

კენჭისყრის პირველ ორ ტურში მონაწილეობდა სოკის 89 წევრი, მესამესა და მეოთხეში — 88.

საბოლოოდ ხმები ასე განაწილდა:

I ტური: პეკინი — 32, სიდნეი — 30, მანჩესტერი — 11, ბერლინი — 9, სტამბოლი — 7;

II ტური: პეკინი — 37, სიდნეი — 30, მანჩესტერი — 13, ბერლინი — 9.

III ტური: პეკინი — 40, სიდნეი — 37, მანჩესტერი — 11.

IV ტური: სიდნეი — 45, პეკინი — 43.

ფრონტის დასახმარებლად

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა დაიწყო ფრონტისათვის თანხების შეგროვება. მოგვაწოდეს პირველი ცნობა: ილია დათუნაშვილმა და მურთაზ ხურცილავამ გაიღეს 50-50 ათასი რუსული მანეთი, გივი ჩოხელმა — 20 ათასი მანეთი, ზარბეგ ებრალიძემ — 200 ათასი კუპონი, ვლადიმერ ბარქაიამ, სერგო კოტრიკაძემ, გია თავაძემ — 100-100 ათასი კუპონი.

თანხების შეგროვება გრძელდება.

P. S. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 10 მილიონი ნაღდი კუპონით მეომრებისთვის შეიძინა თბილი ტანსაცმელი. ჩვენმა სასიქადულო ფეხბურთელმა დავით ყიფიანმა კი ფონდში 100 ათასი რუსული მანეთი შეიტანა.

ვეტერან სპორტსმენთა, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა ასოციაციის შტაბი თბილისის სპორტის სასახლეში მუშაობს. ფრონტის დასახმარებლად 1.000.000 კუპონი შეაქვს მრავალდარგოვანი ფირმა „თოლია-92“ ფირმის პრეზიდენტს, წარსულში ცნობილ მოჭიდავეს იოსებ ჩუღლს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

9 წლის მერე, 16 ქულით...

სამი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს საქართველოს მშვილდოსნებმა თურქეთში. ანტალიის მსოფლიო ჩემპიონატამდე კასტამონაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ხათუნა ქერივიშვილმა „ოლიმპიური წრის“ ერთ-ერთ ეტაპზე 70 მეტრიდან 12 ისრის ტყორცნით 108 ქულა მოაგროვა. ეს 9 ქულით სჯობს თბილისელ იამზე ტალახაძისა და ბათუმელ ასმათ დიასამიძის ადრინდელ მიღწევებს.

იქვე ბათუმელმა თამაზ ბასილაძემ იმავე ვარჯიშში თბილისელი სერგო გათიკოევის ძველი რეკორდი (107 ქულა) 3 ქულით გააუმჯობესა.

მესამე რეკორდი დამყარდა ანტალიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე. აქ ჩვენმა ვაჟთა ტრიომ (ბათუმელი სერგო ბერიძე, თ. ბასილაძე და ს. გათიკოევი) მ-1 ვარჯიშში (სასტარტო წრე) 3742 ქულას მოუყარა თავი. ეს მაჩვენებელი 16 ქულით აღემატება ძველ რესპუბლიკურ მიღწევას, რომელიც 9 წლის წინ იყო დამყარებული.

ვინ საით...

● **27 სექტემბრიდან** 2 ოქტომბრამდე საბერძნეთის ქალაქი სალონიკი უმასპინძლებს ევროპის ახალგაზრდა (19 წლამდე) მოკრივეთა ჩემპიონატს, რომელშიც საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ: თბილისელი არარატ ოჰანესიანი (51 კგ), ფოთელი ზაზა ხურცილავა (54), თბილისელი ივანე ქექიკოშვილი (57), თეთრიწყაროელი ბესიკ ვარძელაშვილი (60), ქიათურელი ზაალ სებისკვერაძე (63,5), გორელი ილია ტლაშაძე (71) და ქუთაისელი ირაკლი ფხაკაძე (91). გუნდის უფროსი მწვრთნელი თამაზ კუჭავა, დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, ევროპის ექსჩემპიონი დავით კვაჭაძე.

საქართველოს მოკრივეები გუშინ გაემგზავრნენ საბერძნეთს.

● **ძალოსანთა** მსოფლიო თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე (კარდიფის საერთაშორისო ტურნირი „ვერცხლის დრაკონი“) სასპარეზოდ ინგლისს გაემგზავრა ბარსელონის ოლიმპიადისა და კონტინენტის ორგზის ჩემპიონი კახი კახიაშვილი. ეს შეჯიბრება ხვალ უნდა დასრულდეს.

● **მოფარიკავეთა** საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ თურქეთში (იზმირი) იმყოფება საქართველოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან: თენგიზ დიდია, ალექსანდრე ზურაბიშვილი, გიორგი თადუმაძე, რუსუდან გოგიავა, ლუსინე ხაჩატუროვა და ნინო მათითაიშვილი.

GENS UNA SUMUS

მატჩები მსოფლიო პირველობაზე

კარგა ხანია უმაღლესი დონის მატჩებში ერთ-ერთ მხარეს ასეთი დიდი უპირატესობა არა ჰქონია. ზოგი მიმომხილველი იმასაც კი აცხადებს, რომ ლონდონის ორთაბრძოლის ბედი საბოლოოდ გადაწყდა მას შემდეგ, რაც კასპაროვმა თეთრებით მოუგო შორტს მეშვიდე პარტია და მისმა უპირატესობამ უკვე 4 ქულას მიაღწია. აზრი გამოთქვეს კანადელმა საჭადრაკო მოღვაწემ, პროფესორმა ნათან დივინსკიმ და ცნობილმა ინგლისელმა საჭადრაკო ჟურნალისტმა, საერთაშორისო ოსტატმა ბერნარდ კაფერტიმ, რომელიც ამ მატჩზე ჟურნალ „ნიუ ჩეს პლეიერის“ კორესპონდენტია.

დივინსკი: „არავინ იცის, როგორ უნდა მოიქცნენ კასპაროვის მეტოქეები. კომბინაციურ ბრძოლაში იგი ყველას სჯობნის. ზოგი ცდილობს მას პოზიციური მანერით ეთამაშოს. ასეთ ბრძოლაშიც ვერავინ უმკლავდება. ერთი სიტყვით, გამოსავალი არ არის“.

კაფერტი — „ის დღე (განვლილი სამშაბათი), როცა კასპაროვმა მეოთხედ გაიმარჯვა, ბრიტანული ჭადრაკის შავი დღე იყო“.

მეშვიდე პარტიაში კასპაროვი თავდაჭერილად თამაშობდა. მან ესპანურ პარტიაში მეტოქეს საშუალება არ მისცა მიემართა ე. წ. მარშალის იერიშისთვის, თანდათან გაზარდა პოზიციური უპირატესობა და გაიმარჯვა.

მერვე პარტიაში, ამ მატჩში უკვე მეოთხედ, კასპაროვმა სიცილიურ დაცვას მიმართა, ამჯერად ნაიდორფის სისტემა აირჩია. საინტერესოა, რომ შავებით თამაშისას მსოფლიო ჩემპიონი დიდ სიძნელეებს აწყდება. შორტს შუა თამაშში მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ცაიტნოტში შეცდა და კასპაროვმა მუდმივი ქიშით ყაიმს მიაღწია. ანგარიში გახდა 6:2. დღეს მეცხრე პარტიაა.

ამსტერდამში გრძელდება კარპოვ--ტიმანის ორთაბრძოლა (ფიდეს ეგიდით). მეათე პარტიაში ტიმანმა შავებით ამ მატჩში პირველად მიმართა გრიუნფელდის დაცვას, მაგრამ ვერ შეძლო მდგომარეობის გათანაბრება და კარპოვი თავის სტიქიაში აღმოჩნდა — მსოფლიო ექს-ჩემპიონმა მოიგო შეხვედრა და უკვე ორი ქულით დაწინაურდა.

მეთერთმეტე პარტია მე-11 სვლაზე დასრულდა ყაიმით. ანგარიში გახდა 6,5:4,5 კარპოვის სასარგებლოდ.

დღეს, 25 სექტემბერს, გაიმართება მატჩის მეთორმეტე პარტია, რის შემდეგაც მთავრდება ასპარეზობის პირველი ნახევარი და ცხადდება შესვენება 3 ოქტომბრამდე. შემდეგ, როგორც ცნობილია, ბრძოლა არაბეთში, ომანში გაგრძელდება.

ბივი ბამრეკელი

რა ხდება ქვეყანაზე

● **პრეზიდენტთა** თასის მორიგი გათამაშება კრივში ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში უნდა გამართულიყო. გერმანიის ნაკრები მწვრთნელის — ბოდო ანდრეასის მეთაურობით მზად იყო ამ შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად, მაგრამ ბოლო მომენტში ნიგერიაში გერმანიის ელჩის რჩევით ხელი აიღო განზრახვაზე. საქმე ის გახლავთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მწვავე პოლიტიკური სიტუაცია ტრაგიკულად შეიძლებოდა დამთავრებულიყო სპორტსმენთათვის.

● **ორი წლის** წინ გერმანელმა ფაბრიკანტმა გერჰარდ ვებერმა ქალაქ ჰალეში (19 ათასი მცხოვრები) უიმბლდონის ანალოგის შექმნა განიზრახა. მოკლე დროში აიშენა 23 ღია და 17 დახურული კორტი, სამედიცინო ცენტრი და ტრენაჟორების დარბაზი. გაისად მწყობრში ჩადგება სასტუმრო და კიდევ სხვა რამდენიმე ნაგებობა. ბალახი ცენტრალური და სხვა კორტებისთვის მშენებლებმა ინგლისიდან შემოიტანეს. უიმბლდონის ტყუპისცალი ვებერს 70 მილიონი მარკა დაუჯდება. ამ ფაბრიკანტმა თავისი კაპიტალი დააგროვა შტეფი გრაფის რეკლამირებით, ამიტომ გადაწყვიტა მთლიანად დაუბრუნოს ვალი ჩოგბურთს.

სურათზე: გერჰარდ ვებერი (მარცხნივ) და მისი ვაჟიშვილი ცენტრალურ კორტზე.



● **ნასკარის** სერიის ერთ-ერთი საუკეთესო ავტომრბოლელი დეივ ელისონი გარდაიცვალა ბირმინგემის ჰოსპიტალში. იგი შეჯიბრების ტრასას ეცნობოდა, როცა შვეულმფრენმა კატასტროფა განიცადა. 32 წლის ელისონი კომატოზურ მდგომარეობაში ჩაიბარეს ექიმებმა და ვერაფრით ვერ გამოიყვანეს მდგომარეობიდან. ელისონების ოჯახს ავტორბოლეებში ფატალურად არ სწყალობს ბედი — ერთი წლის წინ საწვრთნელი რბოლის დროს დაიღუპა დეივის უმცროსი ძმა კლიფორდი. ეს მოხდა მიჩიგანში.

● **პროფესიონალ** ველოსიპედისტთა შორის ყველაზე ნაკლებ კომუნიკაბელურ სპორტსმენებად ითვლებიან იტალიელი ჯანი ბუნიო და ესპანელი მიგელ ინდურაინი. ისინი თითქმის არ იძლევიან ავტოგრაფებს. ამას მეტწილად ახერხებენ იმით, რომ შეჯიბრების სტარტზე ადგილს ყველაზე გვიან იკავებენ. სამაგიეროდ, ავტოგრაფებს ხალისით იძლევა მეორე, ასევე პოპულარული იტალიელი კლაუდიო კიაპუჩი. იგი ამის თაობაზე ფილოსოფიურად აცხადებს: სიყვარულს დაფასება და რეალიზაცია სჭირდებაო.

● **„ტოტენჰემის“** ფეხბურთელთა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა ტერი ვენეიბლსმა გადაწყვიტა თავად გახდეს კლუბის მფლობელი. ამ მიზნით მეორე დივიზიონის გუნდის — „ლუთონის“ შეძენა განიზრახა. ვენეიბლსი იძულებულია „ტოტენჰემის“ მეპატრონეს ალენ შუგარს მიჰყიდოს მისი კუთვნილი 23 პროცენტი აქციებისა, რომლის საერთო ღირებულება 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

სურათზე: ტერი ვენეიბლსი.

რა ხდება ქვეყანაზე

საიდან მოდის წარმატება? იქიდან, სადაც მუშაობენ

თურქეთის ქალაქ ბურსაში გამართულ ევროპის XX პირველობაზე ქართველ მოკრივეთა წარმატება ბევრმა შესაძლოა შემთხვევითობას მიაწერა, რაც სწორი არ გახლავთ, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი რანგის შეჯიბრებაზე შემთხვევით არაფერი ხდება და ყველაფერი კანონზომიერებას ემორჩილება. როცა ქვეყანას ჰყავს ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, კონტინენტის ჩემპიონი და რამდენიმე პრიზიორი, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულები, ეს, ცხადია კრივის პოპულარობაზე მეტყველებს, მაგრამ როცა ქვეყანაში ამ სახეობით გატაცებულია მრავალი ჭაბუკი და ახალგაზრდა, ეს უკვე საქმის მცოდნე მწვრთნელებისა და სპეციალისტების მწყობრ და გეგმაზომიერ მუშაობაზე მეტყველებს. ეს, უპირველესად, ითქმის პერიფერიაში მომუშავე მწვრთნელებზე, რომლებმაც, რომ იტყვიან, ყამირზე გაავლეს ხნული — არც რინგი ჰქონიათ, არც სხვა სავარჯიშო საშუალებები, მაგრამ მაინც კარგ მოსავალს იმკიან. დიახ, უმრავლესობა იმ მოკრივეებისა, რომლებიც ევროპასა და მსოფლიოშიც არავის უდებენ ტოლს, აღიზარდა იმგვარ, უკაცრაული პასუხია, სარბიელზე, რომელსაც დარბაზს, თუ თოფით არ დაგადგა კაცი, ნამდვილად ვერ უწოდებ.

კრივის მოყვარულებმა ალბათ არ იციან, რომ თვით მსოფლიო ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ჭაბუკთა და მოზრდილთა შორის, ევროპის ჩემპიონი გიორგი კანდელაკი აღიზარდა ისეთ დარბაზში, სადაც რინგი იყო კი არა, თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა. არც ფოთელი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები პაატა გვასალია და ზურაბ სარსანია ყოფილან ამ მხრივ განებივრებულნი — მათი ქალაქის სპორტსკოლის კალათბურთის დარბაზში (!), სადაც ისინი ვარჯიშობდნენ, თბილ შხაპზე ოცნებაც კი არ შეიძლება და მინებჩამსხვრეულ ფანჯრებში ცივი ზღვაური დათარეშობს ზამთრობით. მიუხედავად ასეთი სავალალო პირობებისა, გორელმა მწვრთნელებმა ა. შაშიაშვილმა და გ. კაველიძემ, ფოთელმა ს. კულუამ მაინც შეძლეს თავიანთ ქალაქებში ამ ურთულესი სახეობის დანერგვა-მოღონიერება და დღეს მათმა აღზრდილებმა აკი მთელი ევროპა აალაპარაკეს, არადა, საკმაოზე მეტ წინააღმდეგობას წააწყდა ჩვენი კრივი, ვიდრე დამოუკიდებლად გავიდოდა საერთაშორისო სარბიელზე (საქართველოს კრივის ფედერაციის ეიბა-სა და აიბა-ში — ევროპისა და მსოფლიოს სამოყვარულო კრივის კავშირებში გაწევრიანებას ვგულისხმობთ). სხვათა ტოლ-სწორად აღიარების გაჭიანურება ჩვენს კრივს „მკვდარ სეზონს“ უქადდა, სპორტში კი ყოველგვარი „წუთშესვენება“ მომაკვდინებლად მოქმედებს მის განვითარება-წინსვლაზე. მაგრამ ჩვენი კრივის თავკაცმა — ევროპის ექსჩემპიონმა დავით კვაჭაძემ შემოიკრიბა მწვრთნელთა ჯგუფი, რომელთა ენთუზიაზმისა და კრივის დიდი სიყვარულის წყალობით რესპუბლიკის ქალაქებში, განსაკუთრებით კი რაიონებში, ერთი წუთითაც არ შეჩერებულა მუშაობა და ნიჭიერთა ძიება. ჩვენში კრივის „ნორმალური კლიმატის“ შენარჩუნებას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ კრივის ფედერაციას არც შეჯიბრებები მივიწყებია — ჩვენი მოკრივეები ნიადაგ გამოდიოდნენ სხვადასხვა ქალაქის ღია პირველობებში და თავადაც იწვევდნენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და მეზობელი თურქეთის ტყავის ხელთათმანის ოსტატებს საასპარეზოდ. გულიანი და გონივრული გარჯის შედეგი, მოგეხსენებათ, არ ახანებს: ჩვენი სპორტსმენები მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ, ოსტატობასაც დღითი დღე ხვეწდნენ და „წამოგვეზარდნენ“ კიდეც საერთაშორისო კლასის მოკრივეები — ძმები რამაზ და ზურაბ ფალიანები, პაატა გვასალია, თენგიზ მესხაძე, კახაბერ ბარავი, გიორგი კანდელაკი, კობა გოგოლაძე, ზურაბ სარსანია და ბევრი სხვა. ამაზე იმიტომ ვლაპარაკობთ ხაზგასმით, რომ ერთხელ კიდევ შეგახსენოთ შეჯიბრების მნიშვნელობა—სპორტსმენი ხომ სწორედ ოფიციალურ ორთაბრძოლებში ოსტატდება, ეს პროცესი კი ჩვენში შეფერხებულია. რას იზამ, დროა ასეთი — ჭირს სპორტსმენთა მომზადებაც და შეჯიბრებებზე გაგზავნაც — ეს ხომ ხშირად ასტრონომიულ ხარჯებს მოითხოვს. და მაინც — გვჭირდება ტურნირები. მახსენდება ამ ზაფხულს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების სამატჩო შეხვედრა ერევნელ თანატოლებთან, რომლებიც მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ვლადიმერ ენგიბარიანმა ჩამოიყვანა თბილისში. როგორც ვიუწყებოდით, ეს შეჯიბრება ევროპის ახალგაზრდული პირველობის კვირაძალზე გაიმართა და ძალთა ერთგვარი დათვალიერებაც გახლდათ. შეხვედრა სემინარს უფრო წააგავდა, საქმე ის იყო, რომ ბრძოლების მსვლელობას კომენტარს უკეთებდა სტუმარი-ოლიმპიელი, აღნიშნავდა თბილისელთა ნაკლოვანებებს, რაც გასათვალისწინებელი უნდა იყოს ჩვენი მწვრთნელებისთვის სალონიკის (ჩემპიონატი ამ ქალაქში დღე-დღეზე დაიწყება) ასპარეზობის წინ. ჩვენმა ახალგაზრდა მოკრივეებმა ღირსეულად უნდა ატარონ ევროპულ რინგზე ის ესტაფეტა, რომელიც მათ წინა თაობისგან მიიღეს.

და ბოლოს, დამაფიქრებელია, რომ ქართველ მოკრივეთა ამ წარმატებებში რაზეც ზემოთ ითქვა, თავისი წილი ნაკლებად უდევთ თბილისის წარმომადგენლებს. არადა, დედაქალაქელი მოკრივეები ყოველთვის მოწინავეობდნენ და სამწუხაროა, რომ უკვე წარსულ დროში გვიხდება მათ წარმატებებზე ლაპარაკი. ეს უნდა გაითვალისწინონ თბილისში მომუშავე მწვრთნელებმა, ვინაიდან ბევრად უკეთესი პირობები აქვთ, ვიდრე მათ პერიფერიულ კოლეგებს.

უშანგ ჟიჟინაძე

• • •

რედაქციისაგან: ამა თუ იმ სპორტსმენის სადაურობაზე ხშირადაა გაუგებრობა. ზოგჯერ მწვრთნელი და თავად სპორტსმენიც მოითხოვს გაზეთში მივანიშნოთ ესა და ეს ქალაქი (რაიონი), ან ესა და ეს სპორტული საზოგადოება. რედაქციაში არაერთმა დაგვირეკა და მოგვთხოვა განმარტება, თუ რატომ „მივიჩნიეთ“, მაგალითად, რ. ფალიანი მესტიელად, როცა იგი 7 წელია დედაქალაქში ცხოვრობს და მწვრთნელებიც თბილისელი ჰყავს. ასეთი საყვედურები ხშირია.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ჯ. ბაგრატიონმა გვითხრა, რომ დეპარტამენტში მუშავდება კრიტერიუმები და ასეთი საკითხები სადავო აღარ გახდება.

ურეცეპტო წამალი

თუ მშობლებს ცუდი მხედველობა აქვთ, ბავშვს შეიძლება განუვითარდეს ახლომხედველობა.

ბავშვებს ახლომხედველობა ძირითადად დაეტყობათ ხოლმე სკოლაში მისვლის შემდეგ, როცა თვალის დატვირთვა იზრდება. თუ სუსტი მხედველობა მემკვიდრეობითია, 6-7 წლის ასაკში ბავშვი ხშირად უნდა აჩვენოთ ექიმს.

ახლომხედველობის პროფილაქტიკაში (არა მხოლოდ ბავშვებში) დიდია მასაჟის მნიშვნელობა. მთავარია შეარჩიოთ წერტილები. მასაჟი უნდა იყოს ზომიერი, ძალდაუტანებელი.

მასაჟი დაიწყეთ 1 და 2 წერტილებით. მასაჟი სრულდება მარჯვნიდან მარცხნივ (გარდა ხელზე მასაჟისა). საჩვენებელი ან შუა თითით 2-3 წუთის განმავლობაში. შემდეგ გადადით 3, 4, 5 და 6 წერტილებზე, მასაჟი სრულდება იგივე წესით, ოღონდ არა უმეტეს 1 წუთისა. უფროსებს შეუძლიათ მასაჟი შეასრულონ დღეში 2-3-ჯერ, ბავშვებმა — დღეში ერთხელ 2-3 კვირის განმავლობაში. შემდეგ შეისვენეთ 7-10 დღე. თუ მოზრდილები თვალის დაღლას გრძნობენ, მასაჟის წინ ვურჩევთ თვალებზე დაიდონ ცივი წყლით დასველებული გაწურული პირსახოცი (2-3 წუთით).



ჩვენი ფედერაციები

საქართველოს სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ფედერაცია (სსსმფ) შეიქმნა 1991 წლის 17 მაისს. ჯერჯერობით ემბლემა არ გააჩნია.

სროლის საერთაშორისო კავშირის (უიტ) წევრი გახდა 1992 წლის ოქტომბერში.

მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში (ფიტა) მიიღეს 1993 წლის იანვარში.

სსსმფ-ის პრეზიდენტია **თენგიზ კიტოვანი**, პირველი ვიცე-პრეზიდენტი — **თამაზ იმნაიშვილი**, აწ გარდაცვლილ **თამაზ ლეკიშვილის** ნაცვლად, რომელიც ვიცე-პრეზიდენტი იყო, ახალი არ ურჩევიათ, გენერალური მდივანია **გივი ბოსტოლანაშვილი**.

გამგეობის შემადგენლობაში არიან, აგრეთვე, შოთა ქველიაშვილი, ლაშა მეავანაძე, გერმანე მეძმარიაშვილი, გივი სოსელია, ელგუჯა ძიძიგური, ალექსანდრე ბუკია, ელდარ სირაძე, გიზო გიორგაძე, თენგიზ ხერხეულიძე, ალბერტ ავეტისიანი, ტარიელ ჟღენტი, ვახტანგ სალუქვაძე, ქეთევან ლოსაბერიძე, ვლადიმერ ლეკვეიშვილი, ზურაბ მაჩხანელი, ლერი ვერულიძე, ალექსანდრე ჩხეიძე, გივი დავითაშვილი, გივი ხომერიკი, გურამ გაბუნია, მერაბ ბერიძიშვილი.

მსაჯთა კომისია: შოთა ქველიაშვილი (თავმჯდომარე), ალბერტ ავეტისიანი, თამაზ მეგრელიშვილი, გივი დავითაშვილი, რუბენ კაცობაშვილი, ზურაბ ხომერიკი, ჯუანშერ მოწონელიძე.

მწვრთნელთა საბჭო: ზურაბ მაჩხანელი (თავმჯდომარე), გივი ბოსტოლანაშვილი, ტარიელ ჟღენტი, გელა სიმონიანი, ალექსანდრე მეძევიძე, იოსებ ქუსიკაშვილი, თენგიზ ხერხეულიძე.

ფედერაციის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 49-ა, ტელეფონი 23. 55. 80.

„დიდი სლემის“ ლაურეატები

2. მორინ კონოლი

დონ ბაჯის მიღწევის გამეორება ცხადია უძნელესი საქმე იყო. ამას მთელი 15 წელი დასჭირდა, ამასთან, ახალი ტრიუმფატორი ქალი გახდა — ამერიკელი მორინ კონოლი.

მორინ კონოლიმ ჩოგბურთში ნახა ის, რაც პირად ცხოვრებაში აკლდა — დიდი, თუმცა მეტად ხანმოკლე ბედნიერება. ბავშვობიდანვე არ უყვარდა სახლში ყოფნა, სადაც მამის ნაცვლად მამინაცვალი ელოდა. კიდევ კარგი, რომ ქალაქ სან-დიეგოში (კალიფორნია) მათი ბინის სიახლოვეს ჩოგბურთის კორტები იყო, სადაც 7 წლის ასაკიდან მოყოლებული, გოგონა ათენებდა და აღამებდა. როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, ცაცია კონოლიმ ფანტასტიკური შრომის შედეგად მარჯვენა ხელით ისწავლა თამაში და მისი მთავარი იარაღიც სწორედ მარჯვნიდან დარტყმა იყო. მორინ კონოლის ავტობიოგრაფიულ წიგნსაც, რომელსაც გატაცებით კითხულობდნენ ჩოგბურთელთა მთელი თაობები, სწორედ ასე ერქვა: „დარტყმა მარჯვნიდან“.

გოგონას ძალიან დაეხმარა აშშ-ში კარგად ცნობილი ჩოგბურთელი, შემდგომ კი კარგა ხანს მისი პარტნიორი შერეულ წყვილთა შეჯიბრებებში ბენ პრესი. როგორც ბენ პრესი იგონებდა, კონოლი მას ყოველთვის სთხოვდა საწვრთნელი შეხვედრების დროს სრული ძალით ეთამაშა — თუ გამანადგურებელი ანგარიშით მომიგებ, მომიგე, სულაც არ მეწყინებაო. პრესი აღნიშნავდა, რომ ასეთი შეუპოვარი, მტკიცე ხასიათის და თანაც ჩოგბურთზე ესოდენ შეყვარებული ქალიშვილი მას საერთოდ არ შეხვედრია.

დიდმა შეუპოვრობამ, უდავო ნიჭმა და გამუდმებულმა ვარჯიშმა მალე მოიტანა შედეგი. 1949 წელს (როდესაც კონოლი 14 წლისა იყო) იგი აშშ-ის ჩემპიონი გახდა გოგონათა შორის, ორი წლის შემდეგ კი პირველად იასპარეზა ეროვნულ ჩემპიონატში ქალთა შორის ფორესტ-ჰილის საჩოგბურთო სტადიონზე. აქ კონოლიმ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, ზედიზედ, თანაც ძალზე ეფექტურად მოიგო რამდენიმე მატჩი, ფინალში მას 8 წლით უფროსი შირლი ფრაი ელოდა, რომელიც ადრე ქვეყნის ორგზის ჩემპიონი იყო გოგონათა შორის, იმჟამად ბევრ ექსპერტს ჰარტის შემდეგ აშშ-ის უძლიერეს ჩოგბურთელ ქალად მიაჩნდა, მსოფლიოში კი მეხუთე იყო. აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება — ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალზე პოპულარული იყო ვაჟთა ჩოგბურთი, ქალებისას კი გაცილებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. სამაგალითოდ იმოწმებენ თუნდაც იმ ფაქტს, რომ კონოლი-ფრაის ფინალურ შეხვედრას ფორესტ-ჰილის ცენტრალურ კორტზე, რომლის ტრიბუნები 16 ათას მაყურებელს იტევს, მხოლოდ 2500 გულშემატკივარი ესწრებოდა. ამ მატჩში ამერიკელი ექსპერტები თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ ამიერიდან ნამდვილი საერთაშორისო კლასის ვარსკვლავი ჰყავდათ. კონოლიმ მოიგო — 6:3, 1:6, 6:4, სიხარულისგან ჩოგანი

იხ. მე-4 გვ.

TDK
717
TOKYO

რეკორდი დღეგრძელი იქნება

ეს მართლაც უნიკალური წარმატება იყო. ყოველ შემთხვევაში, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ახალ მსოფლიო რეკორდს 10 000 მეტრზე რბენაში — 26. 58,38-ს დიდხანს ვერავინ გააუმჯობესებს და ამიტომაც დღეგრძელობა უწერია. წლეულს, 10 ივლისს, ოსლოში, „გრან პრის“ მერვე ეტაპზე 32 წლის კენიელმა იობს ონდიეკმა მსოფლიოში პირველმა „დააღწია თავი“ 27 წუთს და სასიამოვნოდ განაცვიფრა მძლეოსნური სამყარო. სხვათა შორის, სარეკორდო გარბენის წინ ონდიეკი ყველას უმტკიცებდა, რომ უსათუოდ გააუმჯობესებდა მსოფლიო რეკორდს, მაგრამ მაშინ მას არავინ დაუჯერა. ფიქრობდნენ, რომ მძლეოსნის თავდაჯერებული განცხადებები პრესასა და ტელევიზიაში მხოლოდ სარეკლამო ტრიუკი იყო...

სარეკორდო რბენის შემდეგ ახალმა რეკორდსმენმა განაცხადა, რომ არ მიიღებდა მონაწილეობას შტუტგარტის მსოფლიო ჩემპიონატში:

— მე და ჩემმა მეუღლემ ლიზამ (იგი მარათონელია) გადავწყვიტეთ, ძირითადად კომერციულ ტურნირებში ვიასპარეზოთ. თუ დამაძალეს შტუტგარტში გამოსვლა, ძალებს ვცდი მხოლოდ 5000 მეტრზე. მაგრამ, როგორც შევიტყვე, შეღავათს არც მე და არც ჩემს მთავარ მეტოქეს — რიჩარდ ჩელიმოს (ონდიეკმა მსოფლიო რეკორდი სწორედ მას ჩამოართვა) არ გაგვიწევენ.. ნაკრებში მოსახვედრად სპეციალური ნორმატივი უნდა შევასრულოთ...

შეგახსენებთ, რომ შტუტგარტის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულმა ეთიოპიელმა ხაილე გებრესილასემ 10.000 მ დისტანციაზე 27. 46,02 აჩვენა.

იობ ონდიეკი (კენია)

დაიბადა 1961 წლის 21 თებერვალს კისიიში (სამხრეთ-აღმოსავლეთ კენია).

სიმაღლე — 170 სმ, წონა — 55 კგ.

ალბუკერკის (აშშ) უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი.

ჰყავს მეუღლე ლიზა (თანამეგობრობის ჩემპიონი მარათონში) და 2 წლის გოგონა ემა.

მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონი 5000 მეტრზე რბენაში.

1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში ამ დისტანციაზე მეთორმეტე იყო, ბარსელონის ოლიმპიადაზე კი — მეხუთე.

პირადი რეკორდები: 1500 მ — 3. 34,36; 1 მილი — 3. 55,32; 2000 მ — 5. 01,6; 3000 მ — 7. 34,74; 5000 მ — 13. 01,82.

სურათზე: იობ ონდიეკი სარეკორდო რბენის დროს.

6 მილიონი — დამრღვევთა ჯიბიდან

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

სულ რაღაც ერთ თვეზე მეტია, რაც დაიწყო მეხუთე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, მაგრამ რესპუბლიკის სტადიონებზე მომხდარი დარღვევების გამო სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტს უკვე საკმაოდ ბევრი სამუშაო გაუჩნდა.

გაგაცნობთ ამ პერიოდში კომიტეტის მიერ გამოტანილი საჯარიმო სანქციების არასრულ ნუსხას:

დ. ცომაია, „კოლხეთი—1913“ (ფოთი) — 6 თამაშით დისკვალიფიკაცია და 800 ათასი კუპონი ჯარიმა;

ა. კანტიძე, „ბათუმი“ (ბათუმი) — 4 თამაში და 300 ათასი კუპ.;

დ. კაკუბავა, „შუქურა“ (ქობულეთი) — 1 თამაში და 80 ათასი კუპ.;

ბ. ამბიძე, „შუქურა“ — 1 თამაში და 75 ათასი კუპ.;

ვ. გეგეშიძე, „ერქვანი“ (გურჯაანი) — 1 თამაში და 50 ათასი კუპ.;

ზ. ფოფხაძე და ნ. კიკნაძე, „ერქვანი“ — 2-2 თამაში და 300 ათასი კუპ. თითოეულს;

ა. ქოჩიაშვილი, „მეტალურგი“ (რუსთავი) — 6 თამაში და 500 ათასი კუპ.;

გ. ხურცილავა, „შევარდენი-1906“ (თბილისი) — 2 თამაში და 300 ათასი კუპ.;

დ. ლორთქიფანიძე, „ულუმბო“ (სალხინო) — 12 თვე და 500 ათასი კუპ.;

ნ. დვალიშვილი, „ულუმბო“ — 1 თამაში და 100 ათასი კუპ.;

მ. მერმანიშვილი, „მერანი-91“ (თბილისი) — 12 თვე და 500 ათასი კუპ.;

გ. არველაძე, „სულორი“ (ვანი) —12 თვე და 500 ათასი კუპ.;

ქ. კაცაძე და ს. ეხვაია — „მესხეთი“ (ახალციხე) 12-12 თვე და 500 ათასი კუპ. თითოეულს;

ვ. ჰოლოკავა, „თეთრი არწივი“ (თბილისი) — 3 თამაში და 400 ათასი კუპ.;

მ. გაჩეჩილაძე, „შირაქი“ (დედოფლისწყარო) — 2 თამაში და 300 ათასი კუპ.;

ლ. ქოქოშვილი, „მერანი-ბაჩო“ (თბილისი) — 1 თამაში და 50 ათასი კუპ.;

გ. ოქროპირიძე, „ეკობელა“ (თბილისი) — 1 თამაში და 100 ათასი კუპ.;

ვის რა ნიშანი...

მსაჯთა შეფასებები პირველი ჯგუფის მატჩებზე

3 სექტემბერი

„მარგვეთი“ — „მრეტები“. ა. წერეთელი 7,2, გ. თვარაძე 8,5, შ. ბერიძე 8,5.

„მეტალურგი“ — „მალაროელი“. თ. ლორთქიფანიძე 7,0, გ. ტაბატაძე 9,0, ზ. დოლიძე 6,0.

„შუქურა“ — „ბათუმი“. მ. მირცხულავა 8,7, რ. გარნოვსკი 9,0, დ. გვაზავა 9,0.

6 სექტემბერი

„მეტალურგი“ — „ერქვანი“. ა. შილაკაძე 7,7, ზ. დარჩია 8,0, ტ. წიკლაური 8,0.

„კახეთი“ — „შევარდენი-1906“, გ. ხეჩუაშვილი 6,2, შ. ბერიძე 8,0, გ. ასკარ-ოღლი 8,0.

„დილა“ — „დინამო“. გ. მიქაუტაძე 8,1, ა. კანდელაკი 8,5, ჟ. მაჭარაშვილი 8,5.

„იბერია“ — „საპოვნელა“. თ. ლორთქიფანიძე 8,9, ვ. ეჯიბია 9,0, ა. მერკვილაძე 9,0.

„მრეტები“ — „მალაროელი“. ო. გუნთაძე 6,7, ი. მექერიშვილი 8,0, ლ. რაზმაძე 8,0.

„ბათუმი“ — „კოლხეთი-1913“. თ. მაჭარაძე 7,6, ლ. მგელაძე 9,0, შ. ხანიაშვილი 9,0.

„გურია“ — „ტორპედო“. ა. წერეთელი 9,2, მ. ელიკაშვილი 9,5, გ. ტაბატაძე 9,4.

„მზიური“ — „ამირანი“. რ. გარნოვსკი 9,0, თ. ასატურიანი 9,0, დ. გვაზავა 9,0.

10 სექტემბერი

„საპოვნელა“ — „მრეტები“. მ. ჯულაყიძე 7,7, ი. კახიანი 8,5, ლ. მიქელაძე 7,5.

„შევარდენი-1906“ — „დილა“. თ. მაჭარაძე 9,0, მ. მირცხულავა 9,0, თ. მელაძე 9,0.

„ალაზანი“ — „კახეთი“. თ. ლორთქიფანიძე 9,0, ტ. ნიშნიანიძე 8,0, მ. ფოლადაშვილი 9,0.

„მარგვეთი“ — „მეტალურგი“. გ. სეფიაშვილი 7,8, პ. დოგრაშვილი 7,0, კ. გაბრიაძე 9,0.

„დინამო“ — „მალაროელი“. თ. ლაცაბიძე 8,8, ი. მექერიშვილი 9,0, ა. მერკვილაძე 8,0.

„შუქურა“ — „მზიური“. გ. მიქაუტაძე 6,2, ა. კანდელაკი 6,2, ჟ. მაჭარაშვილი 6,2.

„ტორპედო“ — „ოდიში“. გ. ტაბატაძე 8,0, შ. ხანიაშვილი 8,8, შ. ბერიძე 8,8.

„კოლხეთი-1913“ — „გურია“. ე. სილაგავა 6,9, დ. გვაზავა 6,9, ა. შილაკაძე 6,9.

„სამტრედია“ — „ბათუმი“. მ. მალაღურაძე 8,0, ზ. დარჩია 7,0, მ. ელიკაშვილი 7,5.

17 სექტემბერი

„დინამო“ — „მეტალურგი“. შ. ბერიძე 7,0, ა. წერეთელი 8,0, ი. მექერიშვილი 8,0.

„კახეთი“ — „მრეტები“. თ. ლაცაბიძე 5,0, გ. ხეჩუაშვილი 7,5, ლ. რაზმაძე 7,5.

* * *

ამ ჩემპიონატში ფიფას მსაჯმა თ. ლაცაბიძემ ერთხელ მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება, ხოლო ბოლო ტურის მატჩი თელავში „კახეთსა“ და თბილისის „მრეტებს“ შორის „ჩააგდო“. **მსაჯთა ასოციაციის სამდივნოს გადაწყვეტილებით** თ. ლაცაბიძეს ეკრძალა პირველ ჯგუფში ერთი თვით მსაჯობა და დაჯარიმდა 50.000 კუპონით.

განვლილი რვა ტურის განმავლობაში მსაჯები ათჯერ შეურაცხყვეს ფიზიკურად, რისთვისაც ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ფეხბურთელთა მიმართ მიიღო ფულადი საჯარიმო სანქციები. ხელშეკრულების საფუძველზე ამ თანხის 50% გადაირიცხა მსაჯთა ასოციაციის ანგარიშზე.

ასოციაციის სამდივნოს გადაწყვეტილებით ამ თანხიდან დაზარალებულ მსაჯებზე გაიცა კომპენსაციები:

ე. ჩოჩიშვილი (თბილისი) — 60.000 კუპ.

გ. მაჭარაშვილი (ქუთაისი) — 75.000 კუპ.

ა. კანდელაკი (ქუთაისი) — 75.000 კუპ.

გ. ხეჩუაშვილი (თბილისი) — 75.000 კუპ.

ე. სილაგავა (თბილისი) — 90.000 კუპ.

გ. ასკაროღლი (ქარელი) — 90.000 კუპ.

მ. ფოლადაშვილი (რუსთავი) — 105.000 კუპ.

გ. ტაბატაძე (თბილისი) — 75.000 კუპ.

ვინც ნახოს, ლაყე კვერცხი და დამპალი ბანანი ესროლოს...

ეს ყველაფერი 32 მილიონი ტელემაყურებლის თვალწინ მოხდა. კოლუმბიის ფეხბურთელთა ნაკრების ლეგენდარულმა მეკარემ რენე იგიტამ უმოწყალოდ, შეუბრალებლად გალახა პოპულარული ტელეკომენტატორი სესარ აუგუსტო ლონდონო. ერთ წუთში ქვეყანა შოკში აღმოჩნდა. დაიმსხვრა მითი კოლუმბიელ სუპერ-ვარსკვლავზე, „ფეხბურთის რაინდი“ კვარცხლბეკიდან მიწას დაენარცხა. პირველსავე გამოჩენაზე მეკარეს მისმა გუშინდელმა თაყვანისმცემლებმა ლაყე კვერცხებისა და დამპალი ბანანების სეტყვა დააყარეს. ერთ წუთში კოლუმბიამ მოიკვეთა თავისი ყველაზე საყვარელი ლეგენდა.

ყოფილი სახალხო გმირის საქციელმა მთავრობის უკმაყოფილებაც გამოიწვია. საზოგადოებრიობამ მისი სამაგალითო დასჯა მოითხოვა, რასაც არ დაეთანხმა კლუბი — „ნასიონალ მედელინი“. გუნდის პრეს-ატაშემ ხუან გილერმო მონტოიამ განაცხადა, რომ ტელეჟურნალისტმა ლონდონომ იგიტას ნარკომანობა დააბრალა და ამით ახსნა მისი ცუდი თამაში, შეურაცხყოფილ ფეხბურთელს სხვა გზა არ ჰქონდაო, —ფილოსოფიურად დაასკვნა პრეს-ატაშემ.

იგიტა დაიბადა და გაიზარდა მედელინის იმ რაიონში, სადაც უმთავრესად უმუშევრები და მეძავები ცხოვრობენ. თვით ამ ქალაქსაც, ნარკომაფიასთან მჭიდრო კავშირისთვის, „ჯოჯოხეთის ჰიშკარს“ უწოდებენ. 1986 წელს გააფორმა მან თავისი პირველი პროფესიული კონტრაქტი „ნასიონალთან“. სულ მალე იგიტათი დაინტერესდნენ სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდები. მაგრამ იგი თავისი კლუბის ერთგული დარჩა.

იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ მას მაგიდაზე ედო რამდენიმე კონტრაქტის პროექტი: ფეხბურთელს ეპატიჟებოდნენ „ატლეტიკო“ (მადრიდი), „ოლიმპიკი“ (მარსელი), „ფლამენგო“ (რიო-დე-ჟანეირო), მაგრამ იტალიაში წარუმატებლობის შემდეგ ამ კლუბებმა ადრინდელი კონტრაქტები დახიეს. მეკარე იძულებული გახდა მედელინში დარჩენილიყო. აი, სწორედ მაშინ მიიღო იგიტამ სულელური გადაწყვეტილება — თავი დაენებებინა ფეხბურთისთვის, გამხდარიყო პოლიტიკოსი და კოლუმბიის პრეზიდენტის პოსტისთვის ებრძოლა. ამ საქმეში მას დახმარება აღუთქვა კოლუმბიის ნარკომაფიის მეფემ პაბლო ესკობარმა. მაგრამ ავანტიურიდან, ცხადია, არაფერი გამოვიდა. იგიტა ისევ ფეხბურთს დაუბრუნდა. ერთხანს ესპანეთის „ვალიადოლიდში“ თამაშობდა, მაგრამ ბოლოს ისევ „ნასიონალ მედელინმა“ აიყვანა, თუმცა იგი უკვე ის აღარ იყო, რაც რამდენიმე წლის წინ...

ტელეკომენტატორთან ინციდენტი მისი სპორტული ბიოგრაფიის ბოლო შტრიხი აღმოჩნდა. 25 წლის რენე იგიტას საბოლოოდ შეაქცია ზურგი თავისმა კლუბმა, გულშემატკივარმა და, რაც მთავარია, ფეხბურთმა.

სურათზე: რენე იგიტა.

მსოფლიო ჩემპიონატი

გასულ ოთხშაბათს გაიმართა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის 4 შესარჩევი შეხვედრა.

I ჯგუფი. ესტონეთი — იტალია 0-3.

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შვეიცარია	8	5	3	0	19—5	13
იტალია	8	5	2	1	18—6	12
პორტუგალია	7	4	2	1	14—4	10
შოტლანდია	8	3	3	2	11—10	9
მალტა	9	1	1	7	3—21	3
ესტონეთი	8	0	1	7	1—20	1

II ჯგუფი. ნორვეგია — პოლონეთი 1-0.

სან-მარინო — ჰოლანდია 0-7.

ნორვეგია	8	6	2	0	21—8	14
ჰოლანდია	8	4	3	1	24—8	11
ინგლისი	8	4	3	1	19—6	11
პოლონეთი	7	3	2	2	8—7	8
თურქეთი	8	1	1	6	7—17	3
სან-მარინო	9	0	1	8	1—39	1

III ჯგუფი. ალბანეთი — ესპანეთი 1-5.

ირლანდია	10	7	3	0	17—2	17
დანია	10	6	4	0	14—1	16
ესპანეთი	10	6	3	1	23—3	15
ჩრ. ირლანდია	10	5	2	3	13—11	12
ლიტვა	12	2	3	7	8—21	7
ლატვია	12	0	5	7	4—21	5
ალბანეთი	12	1	2	9	6—26	4

* * *

კაირო. ეგვიპტის კლუბი „ალ-ახლი“ გავიდა აფრიკის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე მას შემდეგ, რაც პირველი მოგების შემდეგ (2-1) განმეორებით შეხვედრაში კაიროს სტადიონზე დაამარცხა სუდანის „ალ-მირიხი“ — 5-1.

მოსკოვის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ვ. გაზაევის წასვლის შემდეგ ჯერჯერობით ასრულებს გუნდის მეორე მწვრთნელი ა. გოლოდეცი.

„**განახლდა** ფეხბურთის შემოდგომის სეზონი. კვირას, ოქტომბრის 8, შედგა მეორე შეჯიბრება ტფილისის „შევარდენის“ გუნდსა და ყოფილ „სლიოტს“ შორის (უკანასკნელი გუნდი შევიდა წითელ არმიელთა სპორტის კლუბის შემადგენლობაში). „სლიოტი“ მეტად ცდილობს ჩამოართვას „შევარდენს“ პირველობა ფეხბურთში, მაგრამ ჯერ ვერც ერთხელ ვერ გაიმარჯვა. ამ გუნდში თავი მოყრილი აქვს ყველა მოთამაშეს, ბევრნი მათგანი ადრე შევარდნებიც იყვნენ, მაგრამ ამ შემოდგომაზე უკვე მეორეთ ამარცხებს მათ „შევარდენი“ სრულიად ახალგაზრდა მოთამაშეთა შემადგენლობით. ახსნა ამის მეტად მარტივია: „შევარდენის“ გუნდი ყოველთვის წესიერად იწვრთნება, აქ არა აქვს ადგილი მოთამაშის დამსახურებას, არამედ მხოლოდ საერთო წესის დამორჩილება იღება მხედველობაში. ეს არის სწორი გზა ფეხბურთის გუნდის გაწვრთნაში. კარგი იქნება, რომ შემოღებულ იქნეს მასში წვრთნის ახალი სახეები, რაც მეტად წასწევს გუნდს.

უკანასკნელი შეჯიბრი ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა. ბურთი სწრაფად გადიოდა ერთი კარიდან მეორესთან. მოთამაშენი მეტად დიდ სიმკვირცხლეს იჩენდნენ და შეჯიბრიც ცოცხლად ჩატარდა, 2:0 „შევარდენის“ სასარგებლოდ“.

ჯომარდი,

„ტრიბუნა“, 1922 წ. ოქტომბრის 18 (№ 317)

* * *

„ფეხბურთი ინგლისელების თამაშია, რომელიც ისეთი პოპულარული გახდა, რომ გავრცელებულია ევროპის ყველა სახელმწიფოებში, აზიაში და თითქმის ავსტრალიაში და აფრიკაშიც კი.

ფეხბურთის მსოფლიო შეჯიბრების დროს მრავალი ხალხი ესწრება, რომელნიც დიდი ინტერესით თვალყურს ადევნებენ თამაშის ტეხნიკას და სილამაზეს. ამ თამაშის ასეთი გავრცელების მიზეზი ის არის, რომ მასში თითქმის ყოველ მოთამაშეს შეუძლია გამოიჩინოს თავისი სიმარდე, სიმხნე და ნებისყოფა, რაც კარგ მოთამაშეს უსათუოდ ემჩნევა. ფეხბურთი ძალიან ანვითარებს მობურთალს ფიზიკურადაც, გარდა იმ სიამოვნება-სიმხიარულის მიღებისა, რომელსაც თამაშში პოულობს. სიარული, რბენა, ხტომა და მრავალგვარი მოძრაობა ტანის, საშუალებას იძლევა განვითარების ამა თუ იმ სიმაღლის მიღწევისას.

გარდა ამისა, თამაშობის დროს მოთამაშე თანდათანობით ეჩვევა სწორ სუნთქვას, რაც ანვითარებს გულის წესიერ მოქმედებას და ამუშავებს მასში ამტანლობას. მაგრამ ფეხბურთიც, ისევე, როგორც სპორტის დანარჩენი სახეები, მოითხოვენ მის სწორად გამოყენებას, თორემ შესაძლებელია მოთამაშეში უარყოფითი მხარეების გაჩენაც. მაგ. შესაძლებელია ხშირი დასახიჩრება სხეულის ამა თუ იმ ნაწილის, მეტადრე თეხების. მობურთავეში თანდათანობით შეიძლება გაჩნდეს უხეშობა და ცუდი მოყრობა, აზარტში შესვლა და სხვა. ეს ყველაფერი აცდენილი უნდა იქნას, თორემ ბოლოს და ბოლოს გამხეცებულ ხალხს დაემსგავსებიან. ეს უმთავრესად დამოკიდებულია მსაჯზე, რომელიც ყოველ არა სწორ და უსამართლო ქცევებს შენიშნავს და შესაფერისად გაასამართლებს.

ასეთი საშუალებით ყოველი მოთამაშე ეცდება წესიერად ითამაშოს, რაც უეჭველად შეაჩვევს დისციპლინას, ორგანიზაციულ და კოლექტიურ მოქმედებას თამაშში. ფეხბურთელთა თითო გუნდი 11 კაცისაგან შედგა: 1 თამაშთავი (კაპიტანი), 1 კარგუშაგი (გოლკიპერი), 2 მცველი (ბეკი), 2 ნაპირა მცველები (ჰავბეკები). 1 შუამცველი (ცენტრსავბეკი) და 4 მარბი (ფორვარდი).

მოედნის ზომა წარმოადგენს 90X 120 კვადრატულ მეტრს. ბურთი სიდიდით 70 სანტიმეტრს უდრის. თამაშს იწყებენ ცენტრიდან მოწინაალმდეგის მიმართულებით ბურთის გატყორცნით. თამაში გრძელდება 90 წუთი, რომელშიაც 45 წუთის შემდეგ ხდება დასვენება 5 წუთით. თამაშის პირველი ნახევრის შემდეგ საჭიროა კარის გამოცვლა. თამაშს თვალყურს ადევნებს მსაჯი, რომელიც მოვალეა არ დაუშვას ფეხბურთელთაგან რაიმე შეცდომა განგებ ჩადენილი, რაც მაშინათვე გასამართლებულ უნდა იქნას. ყოველი მობურთავე ექვემდებარება მსაჯის მიერ გადაწყვეტილ საკითხებს და იგივე აცხადებს გამარჯვებულ მხარეს“. (წერილის ავტორია ელიზბარ პოლუმორდვინოვი)

გაზ. „სპარტაკი“, 1924 წ. 1 ნოემბერი (№ 183).

მოგვაწოდა

სულიკო ნუცუბიძემ.

„ოლიმპიკის“ შავი დღე

პარიზი. საფრანგეთის საფეხბურთო ცხოვრებაში გაუგონარი სკანდალი მოხდა, ეს ამბავი კარგა ხანია აქაური საზოგადოებრიობის სამსჯელოდაა ქცეული. საქმე ეხება საფრანგეთის 1992-93 წლების ჩემპიონს, შემდგომში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელს, მარსელის ცნობილ „ოლიმპიკს“, რომელსაც, როგორც გამოირკვა, ქრთამი მიუცია მეტოქეთათვის და ამის შედეგად მოუპოვებია ოქროს მედალი.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ (ფფფ) დიდხანს იძია ეს სკანდალური საქმე, ეტყობა, დაადგინა ქრთამის ფაქტი და ამიტომაც მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო: მარსელის „ოლიმპიკს“ ჩამოერთვას საფრანგეთის 1992-93 წლების ჩემპიონის წოდება.

ამ გუნდის სამმა მოთამაშემ კრისტოფერ რობერმა, ხორხე ბურუჩაგამ და ჟან-ჟაკ ეიდელიმ ჩვენება მისცეს მოსამართლე ბერნარ ბეფის (ვალანსიენი), რომ გარეული იყვნენ ამ ქალაქის „ვალენსიენისთვის“ ქრთამის მიცემის საქმეში, ამიტომაც ისინი დისკვალიფიცირებული არიან საფრანგეთში და, შესაძლოა, ეს დისკვალიფიკაცია საერთაშორისო სარბიელზეც შეეხოთ.

საჭადრაკო კონკურსი—„საიუბილეო-100“

წელს შესრულდა საქართველოში საჭადრაკო კომპოზიციის ასი წლისთავი. 1893 წელს სანკტ-პეტერბურგის „შახმატნი ჟურნალში“ დაიბეჭდა პირველი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორის ი. ტყეშელაშვილის ორსვლიანი ამოცანა, რამაც დასაბამი მისცა ქართულ საჭადრაკო კომპოზიციას. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორთა ასოციაციამ გამოაცხადა საიუბილეო კონკურსი სამსვლიანი (მსაჯი გ. მოსიაშვილი) და მრავალსვლიანი ამოცანების (მსაჯი რ. მარცვალაშვილი), ეტიუდების (მსაჯი ე. კვეზერელი) შედგენაში.

ჟანრების მიხედვით ჯილდოები შემდეგნაირად განაწილდა:

სამსვლიანი ამოცანები. მონაწილეობდა 9 ავტორის 23 ნამუშევარი. მთავარი ჯილდო დაიმსახურა რ. მარცვალაშვილის (დუშეთის რაიონი, სოფ. ჩარგალი) ამოცანამ. სპეციალური ჯილდო მიეკუთვნა ვ. კალანდაძის (თბილისი) ამოცანას.

მრავალსვლიანი ამოცანები. მონაწილეობდა 11 ავტორის 23 ნამუშევარი. მთავარი ჯილდო ერგო შ. სუხიტაშვილის (გორი) ოთხსვლიან ამოცანას. ორი სპეციალური ჯილდო თანაბარი უფლებით გაიყვეს ვ. კალანდაძის და რ. ტაკიძის (თბილისი) ოთხსვლიანმა ამოცანებმა. ასევე თანაბარი უფლებით საპატიო შეფასებები დაიმსახურეს დ. გურგენიძის (თბილისი) ოთხსვლიანმა და რ. თავარიანის (თბილისი) შვიდსვლიანმა ამოცანებმა. საქებ შეფასება ხვდა ჯ. ჩიქოვანის (აშშ) ოთხსვლიან ამოცანას.

კონკურსზე წარმოდგენილი იყო 7 ავტორის 10 ეტიუდი. მთავარი პრიზი დაიმსახურა ვ. კალანდაძის ნამუშევარმა. თანაბარი უფლებით საპატიო შეფასება მიიღეს ვ. კალანდაძის და მ. გოგბერაშვილის (თბილისი) ეტიუდებმა.

გთავაზობთ ჟანრების მიხედვით მთავარი ჯილდოებით აღნიშნულ კომპოზიციებს, რომელთა ამოხსნაც მკითხველისთვის მიგვინდვია.

რ. მარცვალაშვილი



შამათი 3 სვლაში

შ. სუხიტაშვილი



შამათი 4 სვლაში

ვ. კალანდაძე



მოგება

პირველ დიაგრამაზე, 3-სვლიან ამოცანაში, სულ ოთხი ფიგურაა, მაგრამ ამოხსნა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ამოცანაში იგრძნობა „კლასიკური სუნთქვა“. ეფექტურია თეთრების პირველი და მეორე სვლები, ამასთან ისინი ორ სხვადასხვა ვარიანტში აცხადებენ შამათს.

მეორე დიაგრამაზე, ოთხსვლიან ამოცანაში, თეთრები იძულებულს ხდიან შავებს დაიკავონ საკონტროლო უჯრა შეწირვის გზით. შემდეგ ამ უჯრიდან განიდევნება თემატური ფიგურა და პაიკებით ცხადდება ორი სანიმუშო შამათი.

მესამე დიაგრამა — ეტიუდში არსებობს ერთი თემატური მცდარი კვალი. ამოხსნაში ეტლების ენდშპილში უნდა განხორციელდეს ორი ნატიფი შამათის სინთეზი, რომელთაგან ერთი იდეალურია!

საჭადრაკო კონკურსის „საიუბილეო—100“ მოწყობაში დაგვეხმარა მრავალდარგობრივი ფირმა „უშბა“ (პრეზიდენტი ს. კიკილაშვილი).

კონკურსის ჟიური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხენოსნობაში ასეთი ტრაგიკული შემთხვევები ხშირია. მეტწილად ილუპებიან მერნები, მით უმეტეს, როცა ცხენი კისრით ეცემა. ევროპის ბევრ ქვეყანაში შექმნილია ცხენთა დაცვის საზოგადოებები, რომლებიც მოითხოვენ აიკრძალოს ისეთი შეჯიბრებები, როგორიცაა, მაგალითად, სტიპლ-ჩეისი თუ სხვა ასპარეზობანი, სადაც ე. წ. მკვდარი დაბრკოლებები გამოიყენება.

რომელი მეფეა უფრო პოპულარული

ესპანელები ამბობენ, ორი მეფე გვყავსო — ხუან კარლოს I და ხოსე მანუელ ეგეა I. ხუან კარლოსი ბურბონების სამეფო შტოს წარმომადგენელია, ხოსე მანუელი კი საკმაოდ შეძლებული, მაგრამ პროვინციული ოჯახიდანაა. ხუან კარლოსის ცხოვრების შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, ხოსე მანუელი კი საერთაშორისო ცხოვრებაში უფრო მოკრძალებულადაა წარმოდგენილი, თუმცა პირადი გულშემატკივარი, შესაძლოა, ხუან კარლოსზე მეტიც ჰყავს. ერთი სიტყვით, ხუან კარლოსი ესპანეთის ტახტის მემკვიდრე გახლავთ, ხოსე მანუელი კი ესპანური (და მსოფლიო) კარატეს მეფე.

ახლა უფრო დაწვრილებით ამ უკანასკნელზე, მით უფრო, რომ ჩვენმა მკითხველმა არაფერი იცის მის შესახებ.

დაიბადა 1964 წელს. ვარჯიში დაიწყო 11 წლისამ. მისი პირველი და დღევანდლამდე ერთადერთი კლუბია „მადრიდი“, პირველი და დღევანდლამდე ერთადერთი მწვრთნელი ხუან მანუელ პერეს ალკალდე. გამოდის 80 კგ. წონით კატეგორიაში. საკმაოდ დაბალია—168 სანტიმეტრი სიმაღლის, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს იყოს მსოფლიოში უძლიერესი.

ხოსე მანუელი 13-ჯერ გახლდათ ევროპის ჩემპიონი, მათ შორის სამჯერ იუნიორებში და ათჯერ მოზრდილთა შორის (რვაჯერ პირად და ორჯერ გუნდურ ჩათვლაში). ოთხჯერ ფლობდა მსოფლიო ჩემპიონის წოდებას (სამჯერ პირადში). ამას გარდა, სამჯერ მოიგო მსოფლიო თასი. მისი გამარჯვებები საერთაშორისო შეჯიბრებებში ხეირიანად არც კია აღრიცხული.

კარატე მისი პროფესიაა, თუმცა ითვლება ავტომანქანების აეროდინამიკის სპეციალისტად. სპეციალობის მიხედვით არასდროს უმუშავია, ვინაიდან ვარჯიშს დიდ დროსა და ენერგიას ანდომებს. ბოლო დროს მწვრთნელის პროფესიასაც ითავსებს. დააარსა საკუთარი კლუბი, რომელშიც 200-მდე ახალგაზრდას ამეცადინებს. ბუნებრივია, კარატეს სამყაროში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ხშირად იწვევენ სემინარებზე სხვადასხვა ქვეყანაში. ასეთ დროს დღეში ათასამდე დოლარს უხდიან. ჰყავს ნორვეგიელი ცოლი და ორი შვილი — ერთი და ოთხი წლის გოგონები.

ცნობილ კარატისტს ხშირად ხვდებიან ჟურნალისტები და მუდამ, როგორც წესი, ერთსა და იმავეს ეკითხებიან:

● **როგორ არსებობთ ფინანსურად თქვენ და თქვენი კლუბი?**

— მე ჩემი სპონსორები მყავს, კლუბს — თავისი.

● **ხართ თუ არა მდიდარი?**

— ჩემისთანა კაცზე არ ამბობენ მდიდარიაო, თუმცა უარი არაფერზე მითქვამს — ბუნებრივია, რაზეც ხელი მიმიწვდება.

● **რა იქნება სპორტის მერე, ბიზნესი?**

— კარატისტებისთვის ძირითადი ბიზნესი ნარკოტიკებია. მე ამ ცდუნებისგან შორსა ვარ.

● **თავიდანვე სპორტული კარატეს მიმდევარი იყავით?**

— არა, ვსწავლობდი და ახლაც ვსწავლობ ტრადიციულ კარატეს, უარს არც კატაზე ვამბობ.

● **ნუთუ ყველა ტურნირი მოგიგიათ, რომელშიც გამოსულხართ?**

— ვყოფილვარ მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი, უარესი შედეგებიც მქონია. მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინ, ჩემი სპორტული ბიოგრაფიის გარიჟრაჟზე.

● **თუ გახსოვთ რომელიმე წარუმატებელი ბრძოლა ან ტურნირი?**

— უმეტესწილად ჩემი წარუმატებელი გამოსვლა ცუდ ან არაობიექტურ მსაჯობასთან არის დაკავშირებული.

სპორტული ტელეეკრანი

„ოსტანკინო“

25 სექტემბერი. 16.55. ულტრა-სი. საერთაშორისო მოტოკროსი. **0.50.** მსოფლიო პირველობა ჭადრაკში. **1.30.** სპორტი. **26 სექტემბერი. 10.30.** „სპორტლოტოს“ ტირაჟი. **12.40.** სანიჩბოსნო მარათონი კრილატსკოეში. **22.40.** სპორტული უიქ-ენდი.

27 სექტემბერი 12. 20. გოლი. **18. 40.** გოლი (გამეორებით). **28 სექტემბერი. 21. 55.** ფეხბურთი. უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი. „აინტრახტი“ (ფრანკფურტი, გერმანია) — „დინამო“ (რუსეთი, მოსკოვი). **0.25.** მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში **1. 10.** რუსეთის ღია ჩემპიონატი გოლფში.

„დიდი სლემის“ ლაურეატები

(დასასრული)

გასტყორცნა შორს და იქვე, კორტზე ცეკვა დაიწყო. ცხადი იყო, მას ამიერიდან აშშ-ში მეტოქე აღარა ჰყავდა.

ქალიშვილმა, ბუნებრივია, უფრო სერიოზული მიზნები დაისახა. უკვე 1952 წელს, 17 წლის ასაკში იგი შეეცადა მოესინჯა ნიადაგი „დიდი სლემის“ ფრონტზე. აქ უცნაური არაფერი იყო. 1951 წლის სეზონის შედეგების მიხედვით კონოლი მსოფლიოში უკვე მესამე ჩოგბურთელად ითვლებოდა დორის ჰარტისა (აშშ) და კონოლისგან უკვე დამარცხებული შირლი ფრაის შემდეგ. მას მერე კი, რაც მორინმა 1952 წელს უიმბლდონიც მოიგო და აშშ-ის ჩემპიონატიც, მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლა, ჰარტმა და ფრაიმ უკან დაიხიეს — ჰარტი მეორე გახდა, ფრაი — მესამე.

მაშ ასე, 1953 წლისათვის „დიდი სლემის“ დაუფლება დაიგეგმა. ვინ უნდა ყოფილიყო ამ პრიზისთვის ბრძოლაში კონოლის მთავარი მეტოქე? რა თქმა უნდა, დორის ჰარტი.

დორის ჰარტი დაიბადა 1925 წელს სენტ-ლუისში. იგი ერთ-ერთ უძლიერეს ამერიკელ ჩოგბურთელად ითვლება. 1951 წელს უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი გახდა: ქალთა ერთეულებში, ქალთა წყვილებსა და შერეულ წყვილებში! საინტერესოა, რომ სხვადასხვა დროს „დიდი სლემის“ 4 ტურნირში 35-ჯერ (!) გაიმარჯვა. 1955 წლიდან პროფესიონალი გახდა.

„პატარა მოს“ წინასწარი გაანგარიშება სავსებით სწორი გამოდგა. მართლაცდა, ძალზე იშვიათია შემთხვევა, როცა ყველა ძირითად ტურნირში ორი მეტოქე დანარჩენებს, რომ იტყვიან, მთელი თავით აღემატებოდეს. მაგრამ 1953 წელს სწორედ ასე მოხდა: კონოლი და ჰარტი, ცხოვრებაში დიდი მეგობრები, ერთმანეთს შეხვდნენ პარიზის, უიმბლდონისა და ფორესტ-ჰილის ფინალებში. ამ სეზონში მორინ კონოლის საერთოდ არა ჰყავდა სერიოზული მეტოქე. „დიდი სლემის“ 4 ტურნირში მან წააგო მხოლოდ ერთი პარტია (პარიზი, მესამე წრეში), ისიც საინტერესოა, რომ სწორედ კონოლიმ შემოაბრუნა ამერიკელი მაყურებელი მის მიერ ათვალწუნებულ ქალთა ჩოგბურთისკენ. მატჩზე ფორესტ-ჰილში, რომლის მოგების შემთხვევაში „პატარა მო“ „დიდ სლემს“ ეუფლებოდა, 12.500 გულშემატკივარი მოვიდა და იმედიც არ გაუცრუებიათ.

ერთი სიტყვით, 19 წლის კონოლიმ გაიმეორა დონ ბაჯის მიღწევა; 1954 წლისათვის კვლავ პირველი იყო მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი ქალების ათეულში, მაგრამ, რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ამ სიაში მისი გვარი მეტად აღარ შეუტანიათ.

რა მოხდა?!

მორინ კონოლი დაინიშნა ნორმან ბრინკერზე, რომელიც აშშ-ში კარგად ცნობილი ცხენოსანი იყო, შედიოდა ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში. თვით კონოლისაც ძალიან უყვარდა ცხენები, ხშირად სეირნობდა და დააგელვებდა მათ. მისი მწვრთნელები საგონებელში ვარდებოდნენ, რაიმე ხიფათს არ გადაეყაროსო... თითქოს გულმა უგრძნოთ...

1954 წლის 20 ივლისს კონოლი მეგობრებთან ერთად ცხენით სეირნობდა, მოსახვევიდან მოულოდნელად სატვირთო მანქანა გამოვარდა, ცხენი დაფრთხა, გვერდზე გახტა და კონოლის ფეხი მანქანის გვერდს მიაჭეჭყა. „პატარა მო“ ისე მძიმედ დაშავდა, რომ ჩოგბურთელის კარიერის გაგრძელებაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა. მართალია, როცა ცოტა მომჯობინდა, ზოგჯერ კორტზეც გამოდიოდა, მაგრამ, როგორც მისი გულშემატკივრები ფიქრობდნენ, სჯობდა საერთოდ აღარ გამოსულიყო.

ერთი სიტყვით, მორინ კონოლის კარიერა დიდ ჩოგბურთში სულ სამ წელს გაგრძელდა. ამ სამი სეზონის (1952-1954 წლები) განმავლობაში იგი მართლაც უბადლო იყო და ოფიციალურ „რანგლისტში“ პირველი ადგილი ეჭირა.

1965 წლის მაისიდან აშშ-ში გამოდის ჟურნალი „ტენისი“, რომელშიც მორინ კონოლმა არაერთი საინტერესო წერილი გამოაქვეყნა, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ბავშვთა ჩოგბურთს უთმობდა. ამავე დროს კონოლი მწვრთნელადაც მუშაობდა.

33 წლის კონოლი კიბოთი დაავადდა და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მისი სახელი ჰქვია სპეციალურ პრიზს, რომელიც ყოველწლიურად მიეკუთვნება აშშ-ის უძლიერეს ჩოგბურთელ გოგონას.

„პატარა მო“ — ასე ეწოდება ამერიკულ ტელეკომპანია „ენ-ბი-სის“ მიერ 1978 წელს გადაღებულ ფილმს, რომელიც „დიდი სლემის“ მეორე ლაურეატს მორინ კონოლის მიეძღვნა.

ვივი თორელი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი თანაუგრძნობს სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლევან თედიაშვილს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში შვილის

ვახტანგ თედიაშვილის

დაღუპვის გამო.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლევან თედიაშვილს აფხაზეთის ომში შვილის

ვახტანგ თედიაშვილის

დაღუპვის გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ლევან თედიაშვილს ვაჟის **ვახტანგის** დაღუპვის გამო.

საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაცია თანაუგრძნობს ასოციაციის წევრს, დასავლეთის რეგიონის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამირან აფრიდონიძეს მამის გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას 14. ● ტელეფონი 99-56-14 ·ИНДЕКС ● ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435 დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“. ფასი 100 კუპ.